

ყვარელი

გამოცემის 1932 წლიდან

ფასი 60 თეთრი



ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიანი ელჩი ყვარელში იმყოფებოდა

28 ნოემბერს ყვარელში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და ევროკავშირის მხარდაჭერით ევრო-ატლანტიკური ცენტრი გაიხსნა.

ცენტრის გახსნის ღონისძიებას საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიანი ელჩი კელი დეგნანი, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი გივი ზაუტაშვილი, მედიის წარმომადგენლები და მონაწილე სტუმრები დაესწრნენ. აღნიშნულ სივრცეში გადავიდა ყვარლის ამერიკული თარი. საქართველოს მასშტაბით სულ 14 ასეთი სივრცეა, რომლებშიც ნებისმიერი ასაკისა და ინტერესის მქონე ადამიანისთვის ხელმისაწვდომია ინგლისურენოვანი წიგნები, თანამედროვე ტექნოლოგიები. ასევე, დაინტერესებულ პირებს შესაძლებელია ეძლევათ, ჩაერთონ სხვადასხვა თემატიკის მქონე ღონისძიებებში და მონაწილეობა მიიღონ დისკუსიებში.



...მულტიდისციპლინარული მომსახურების ცენტრი ამოქმედდა

23 ნოემბერს ყვარელში, ბავშვთა რეაბილიტაციის მულტიდისციპლინარული მომსახურების ცენტრი ამოქმედდა. ცენტრის მიზანია ყვარლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 0-18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის სოციალური განვითარების ხელშეწყობა, ფიზიკური და ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზება, შშმ პირთა ოჯახების გაძლიერება და ინკლუზიური განვითარების ხელშეწყობა. ცენტრი ამჟამად, შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საჭიროებების მქონე 40-ზე მეტ ბავშვს ემსახურება. აღნიშნული პროექტი ევროკავშირის დაფინანსებით, ასოციაციის „ანიკას“ და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდა. პროექტი საქართველოს მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებას შეზღუდული

შესაძლებლობების მქონე პირთა ადამიანური უფლებებისა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის წარმატებით ეხმიანება. ცენტრის გახსნის ღონისძიებას კახეთის სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალადაშვილი, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი, გივი ზაუტაშვილი, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ილია მჭედლაშვილი, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ასოციაცია „ანიკა“, თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრის, კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



წმინდა დიდმოწამე ბარბარეს ხსენების დღე

წმინდა ბარბარე და მისი კოშკი

წმინდა ბარბარე დაიბადა 17 დეკემბერს (ძვ. სტ. 4 დეკემბერს) ფინიკიის ქალაქ ილიოპოლისში. მდიდარი, წარჩინებული გვარიშვილის ოჯახში. მისი მშობლები წარმართები იყვნენ და თავყვანს სცემდნენ კერპებს. ბარბარეს დედა ადრე გარდაიცვალა. იგი ოჯახის ერთადერთი შვილი და მამისაგან განეზივრებული იყო. ახალგაზრდა ბარბარე ისე დამშვენდა, ვერავინ შეედრებოდა სილამაზით. დიოსკორეს, მამამისს, მიანდა, რომ მდაბიო, უზნეო ადამიანები ღირსნი არ იყვნენ მისი ხილვისა, ამიტომ მალაღი კოშკი ააგო და გოგონა შიგ ჩაკეტა, მიუჩინა ერთგული მსახურები და მოახლეები.



ფასი ჩასაცმელსა და მოსართავზე და საერთოდ მინიერ კეთილდღეობაზე. მაგრამ დიოსკორეს დიდად სურდა ქალიშვილის გათხოვება; ერთხელაც ამ


საკითხზე ჩამოუგდო მას საუბარი, შესთავაზა თავის სურვილისამებრ აერჩია მისი ხელის თხოვნის მრავალრიცხოვან მსურველთაგან ვინმე გულისსწორი. ქალწულმა კი მკაცრად მიუღო: „არა გიცნობიესა მამაო, რამეთუ არად სახმარ არს ჩემდა სოფელი ესე“. ბარბარესაგან მტკიცე უარი რომ მიიღო, მამამ გადაწყვიტა მისთვის შედარებით მეტი თავისუფლება მიეცა, იმ იმედით, რომ უცხო ადამიანებისა და მათი ცხოვრების წესის გაცნობის შემდეგ იგი თვითონ მოინდომებდა გათხოვებას. დიოსკორემ ბრძანა ბარბარესთვის მდიდრული აბანო აეშენებინათ, რომელსაც მზისა და მთვარის თავყვანისცემის ნიშნად ორი სარკმელი ექნებოდა.

ცოტა ხანში დიოსკორეს საქმის გამო შორს გამგზავრება მოუხდა. თავისუფლად მყოფმა ბარბარემ გაიცნო ქრისტიანი ქალწულები, რომელთაგან გაიგო იესო ქრისტეს სახელი, მისი მოძღვრება, სისწაულები, ჯვარცმა და აღდგომა. გულთ მოინადინა ბარბარემ ქრისტიანი

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

19 დეკემბერი – წმიდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის ხსენების დღეა

წმიდა ნიკოლოზის ცხოვრება სასწაულებითაა აღსავსე. მართლმადიდებლები წმიდა მღვდელთმთავარს შენევისათვის ყოველგვარი გასაჭირის ჟამს მიმართავენ და ისიც მსწრაფლ შეენევა ხოლმე მათ. წმიდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მფარველად მას შემდეგ ითვლება, რაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა წმიდანს ქართული ეკლესია შეადგინა. წმიდანი დაუღალავად ქადაგებდა ღვთის სიტყვას, თავადაც მაგალითი იყო ქრისტიანული ცხოვრებისა და მოღვაწეობისა.



ქართველ ხალხში წმიდა ნიკოლოზი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. საქართველოში მის სახელზე აგებული მრავალი ტაძარი არსებობს.

წმიდა ნიკოლოზის ცხოვრებიდან ერთი ეპიზოდი ყველასთვის კარგადან ცნობილი. როცა წმიდანი ქალაქ პატრაში მღვდლად მსახურობდა, შეიტყო, რომ ერთ გაღატაკებულ კაცს, რომელსაც სამი ქალიშვილი ჰყავდა, მათი გამოთვება და დაქორწინება არ შეეძლო, – განუზრახავს მათი საროსკიპოში გაგზავნა და ამ გზით გამდიდრება. ქალწულები ცრემლით ევედრებოდნენ უფალს გამოხსნას ამ საშინელი ზედმისაგან. ღმერთმა მათ დასაბამებლად მღვდელი ნიკოლოზი გააგზავნა. სამგზის მივიდა მის სახლთან წმიდა ნიკოლოზი და ყოველ მისვლაზე კარის ზღურბლთან ოქროთი საგვს ქსა დატოვა. ასე შეძლო მამამ თავისი სამივე ქალიშვილის გამოთვება. ამგვარად იხსნა წმიდა ნიკოლოზმა სამი ქალწული და მათი მამა საშინელი განსაცდელისაგან, სწორედ ამ ეპიზოდმა წმიდა ნიკოლოზის ცხოვრებიდან განაპირობა სანტა კლაუსის დამკვიდრება დასავლურ ტრადიციისაში. ასე, თანდათანობით, იქცა იგი დას. ევროპისა და ჩრ. ამერიკის შობა-ახალწ-

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

მელვინოვა კლასიკური მეცნიერება, ამ დარგის ახალგაზრდა ტექნოლოგებმა წარმატებების მისაღწევად უნდა მოიძიონ ინოვაციური სიახლეები

ყვარლის რაიონში გამორჩეული პიროვნებების ოჯახში დაიბადა, მამამისი რევაზი ყარალაშვილი დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობდა, ხოლო დედა ლუბა ჭანტურია – მებაბრეშუმე აგრონომად.

მშობლებმა ძალისხმევა არ დაიშურეს იმისათვის, რომ შვილებს უმაღლესი განათლება მიეღოთ. ჩვენი რესპონდენტი უმაღლესი სასწავლებლის წარმადებით დამთავრების შემდეგ დაბრუნდა ყვარლის რაიონში და გამორჩეული ინტელექტითა და ცოდნით შეძლო რაიონის ხელმძღვანელობის, მეღვინეობის დარგის მესვეურთა ყურადღების ცენტრში მოხვედრილიყო (მელვინე-ტექნოლოგობამდე, ამ პროფესიის ადამიანებს ხშირად მუშაობის დაწყება რიგითი მუშის თანამდებობაზე უხდებოდათ).

ახალგაზრდა მელვინე-ტექნოლოგი მუშაობას იწყებს ყვარლის ღვინის ქარხანაში, ხოლო შემდგომ დიდი ხნის განმავლობაში ამავე ქარხანაში მუშაობდა დირექტორის თანამდებობაზე. ათეული წლების განმავლობაში კი ქინძმარაულის

გაერთიანების მთავარი მეღვინე-ტექნოლოგი იყო.

თავისი ცხოვრების მეგზურად უსათნოესი ქალბატონი აირჩია, რომელთანაც სამაგალითო ქართული ოჯახი შექმნა.

ქალბატონი მაცყალა ნოზაძე ათეული წლები ექიმ-გინეკოლოგის რანგში უანგაროდ ემსახურებოდა რაიონის მოსახლეს.

გაგრძელება მე-4 გვ.-ზე



ილია ჭავჭავაძის 185 წლისთავის აღსანიშნავი „ილიაობა“ გრანდიოზულად აღინიშნა



„ილიაობა – 2022“ ყვარელში, მასშტაბური ღონისძიებებით აღინიშნა – საზეიმოდ გაიხსნა ქ. ყვარლის შესასვლელში მდებარე ილია ჭავჭავაძის განახლებული სკვერი და ბარელიეფი, ილია ჭავჭავაძის დაბადების ადგილზე, სახლ-მუზეუმის ეზოში მდებარე კოშკში, სასულიერო პირებმა სულის მოსახსენიებელი პარაკლისი აღავლინეს.

მუზეუმში, ყვარლისა (საქართველო) და ტუკუშის (ლატვია) მუნიციპალიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმდა.

ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 185 წლისთავთან დაკავშირებით, მუზეუმის ეზოში ილია ჭავჭავაძის ბუესტი საზეიმოდ გაიხსნა.

კულტურული, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებები „ილიას ტბაზე“ გაგრძელდა, სადაც ერთ სივრცეში წარმოდგენილი იყო შემოდგომისთვის დამახასიათებელი, თემატური კუთხეები, მუნიციპალიტეტის თითოეული ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი საკუთარი სოფლის წეს – ჩვეულებებსა და გასტრონომიულ კუთხეს აცნობდა დამთავლიერებებს.

მიუღი დღის მანძილზე ადგილობრივი, ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების მონაწილეობით კონცერტი მიმდინარეობდა, მოეწყო ინფრასტრუქტურული პროექტების გამოფენა, საბავშვო სივრცეები, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა.

„ილიაობა – 2022“ საპატიო მოქალაქეების დაჯილდოებითა და ღამის მოუს ბენდის გრანდიოზული კონცერტით დასრულდა.

ყვარლის საპატიო მოქალაქის ნოდება მიენიჭათ:

თამაზ ყარალაშვილი – კომპანია GRW-ს მთავარი ტექნოლოგი. ცნობილი მედიკი, რომელიც ათწლეულების მანძილზე მოღვაწეობს მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში, ხელს უწყობს ქართული ღვინის პოპულარიზაციას როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

გიორგი ოსეფაშვილი – 1999 წლიდან დღემდე მედიკ-ტექნოლოგის პოზიცია უკავია სხვადასხვა წარმოებაში. 23 წლის განმავლობაში მასთან სასწავლო პრაქტიკას გადიოდნენ მომავალი მედიკ-ტექნოლოგები და სომეღვიები. ხელს უწყობს მედიკინის დარგის განვითარებასა და პოპულარიზაციას.

იზა ახალაია – ყვარლის მე-2 საშუალო სკოლის ღვანდლისი პედაგოგი, რომელმაც 50 წლის განმავლობაში მრავალი თაობის აღზრდის საქმეში შეიტანა წვლილი.

არქიმანდრიტი ანტონი (ერისკაცობაში ბესარიონ პავლიაშვილი) – ნეკრესის მონასტრის წინამძღვარი. 2014 წელს სრულად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია II მიანიჭა ილუმენის ნოდება. 2019 წელს უწმინდესის კურთხევით ნეკრესელმა მიტროპოლიტმა სერგიმ მიანიჭა არქიმანდრიტის ნოდება. ასწავლის გრემის სასულიერო სემინარიაში.

მაია ბუფიაშვილი – 2003 წლიდან დღემდე მუშაობს ა (ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახურში“ დეკორატორის პოზიციაზე. მისი ყოველდღიური ზრუნვის საგანს შეადგენს ქალაქ ყვარელში არსებული მწვანე სივრცეების მოვლა-პატრონობა.

ლალი ბურკიაშვილი – ექიმი-თერაპევტი. 26 წელია ემსახურება ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას. მუშაობს სს. „ვექსის-კლინიკების“ ყვარლის კლინიკაში თერაპევტად და ტრანსფუზიოლოგად, ასევე სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ ყვარლის ფილიალის ექიმად.

ლევან კოკორაშვილი – პროფესიით სამთო ინჟინერი და სოციოლოგი. 1977 წლიდან მუშაობდა ყვარლის რაიონში სხვადასხვა წამყვან პოზიციაზე. 1995 წლიდან 2002 წლამდე იყო თბილისის ეკოლოგიურ-ეკონომიკური ინსტიტუტის ყვარლის ფილიალის დირექტორი. 2002 წელს არჩეული იყო ქალაქ ყვარლის გამგებლად, 2007 წლიდან 2018 წლამდე ქალაქ ყვარელში ეკავა მერის წარმომადგენლის პოზიცია. ამჟამად მუშაობს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე.

ვენერა ფეიტიშვილი – 1968 წლიდან დღემდე თელავის თეატრის მსახიობი. 1986 წელს გახდა საქართველოს დამახარებული არტისტი. 2018 წელს გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი. მიღებული აქვს ვერეკო ანჯაფარიძის პრემია, ასევე ღირსების ორდენი, მრავალი ჯილდო და მედალი.

ალექსანდრა გიგილიშვილი



